სესხის ნომერი GEO (SF)

სესხის ხელშეკრულება

(ჩვეულებრივი ოპერაციები)

(მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა – პროექტი 2)

საქართველოსა

და

აზიის განვითარების ბანკს

შორის

თარიღი 24 ივლისი 2012 წელი

GEO 42414

სესხის ხელშეკრულება
(ჩვეულებრივი ოპერაციები)

სასესხო ხელშეკრულება დათარიღებული 2012 წლის 24 ივლისით საქართველოსა (შემდგომში "მსესხებელი") და აზიის განვითარების ბანკს (შემდგომში "ADB") შორის.

ვინაიდან

(A) მსესხებელსა და ADB-ს შორის 2010 წლის 21 ივნისით დათარიღებული დაფინანსების ხელშეკრულების მიხედვით (შემდგომში "FFA"), ADB-მ განაცხადა თანხმობა, გამოუყოს მსესხებელს მრავალტრანშიანი დაფინანსებით რესურსები მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამის (შემდგომში "საინვესტიციო პროგრამა") ფარგლებში განსახორციელებილი პროექტების დასაფინანსებლად;

(B) 2012 წლის 16 მარტს, მსესხებლის მიერ მიერ წარმოდგენილი პერიოდული დაფინანსების მოთხოვნით და სესხის პროექტთან დაკავშირებული მოლაპარაკებების დროს მსესხებლის მიერ 23 ივლისს შეტანილი შესწორებების გათვალისწინებით, მსესხებელმა პერიოდული ფინანსური მოთხოვნით (შემდგომში "PFR") მიმართა ADB-ს: ა) სესხის გამოყოფის თაობაზე ADB-ს ჩვეულებრივი კაპიტალური ხარჯების რესურსებიდან; და ბ) სესხის გამოყოფაზე ADB-ს სპეციალური ფონდის რესურსებიდან, განსაკუთრებული ოპერაციების სასესხო ხელშეკრულების დანართ 1-ში აღწერილი პროექტის მიზნებისათვის;

(C) მსესხებელსა და ADB-ს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების ("სასესხო ხელშეკრულება განსაკუთრებული ოპერაციები") ADB-ი თანახმაა მსესხებელს, პროექტის მიზნებისათვის, ADB-ის სპეციალური ფონდის რესურსებიდან გამოუყოს სესხი ათი მილიონი ექვსას ოცდაცხრამეტი ათასის, ოდენობით სპეციალური სასესხო უფლების ექვივალენტის (SDR $10,639,000);

(D) პროექტს განახორციელებს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ("MDF") საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 7 ივნისის განკარგულება შექმნის შესახებ. ამ მიზნებისათვის მსესხებელი უზრუნველყოფს მოცემული ხელშეკრულებით განსაზღვრული სესხის თანხების ხელმისაწვდომობას MDF-ისათვის ADB-სათვის მისაღები პირობების დაცვის; და

(E) ADB თანხმაა გამოუყოს მსესხებელს სესხი ADB-ის ჩვეულებრივი კაპიტალური რესურსებიდან, წინამდებარე ხელშეკრულების ვადებისა და პირობების და ADB-სა და MDF-ს შორის გაფორმებული საპროექტო ხელშეკრულების შესაბამისად;

მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

სესხის გაცემის წესი; განმარტებები

პუნქტი 1.01. 2001 წლის 1 ივლისით დათარიღებული ჩვეულებრივი ოპერაციებისთვის განსაზღვრული სასესხო ინსტრუქციების (შემდგომში "სასესხო ინსტრუქციები"), ყველა დებულება, რომელიც ეხება LIBOR-ზე დაფუძნებულ სესხებს, სრულად ვრცელდება წინამდებარე სასესხო ხელშეკრულებაზე, იგივე ძალითა და ეფექტით, როგორიც მას ექნებოდა წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენის შემთხვევაში შემდეგი ცვლილებების გათვალისწინებით:

(a) პუნქტი 2.01 (50) ამოღებულია და შეცვლილია შემდეგით:

"საპროექტო ხელშეკრულება" ნიშნავს საპროექტო ხელშეკრულებას გაფორმებულს ADB-სა და MDF-ს შორის;

(b) "პროექტის განმახორციელებელი სააგენტო" სესხის ინსტრუქციების 7.04(b), 9.01(d), 9.01(f), 9.01(k), 10.01(c) და 10.02(c) პუნქტებში ჩანაცვლდა ტერმინით "MDF"

(c) პუნქტი 3.03 ამოღებულია და ჩანაცვლებულია შემდეგით:

ვალდებულების გადასახადი, კრედიტი; სესხის დაფარვის ვადის საკომისიო

(a) მსესხებელი გადაიხდის ვალდებულების გადასახდელს სესხის თანხის აუთვისებელ ნაწილზე, სასესხო ხელშეკრულებაში განსაზღვრული საროცენტო განაკვეთისა და პირობების მიხედვით.

(b) ADB-ი გაუკეთებს მსესხებელს შეღავათს სასესხო ხელშეკრულებაში განსაზღვრული განაკვეთის შესაბამისად, შეღავათის განაკვეთი იქნება ფიქსირებული სესხის არსებობის მანძილზე. ADB-ი მსესხებლის მიერ გადასახდელ საპროცენტო განაკვეთს შეამცირებს შეღავათების განაკვეთით.

(c) მსესხებელმა უნდა გადაიხადოს სესხის დაფარვის ვადის საკომისიო სასესხო ხელშეკრულებაში განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად, სესხის დაფარვის ვადის საკომისიო ფიქსირებულია სესხის ვადის განმავლობაში. ADB-მ სესხის დაფარვის ვადის საკომისიო უნდა დაამატოს მსესხებლის მიერ გადასახდელ საპროცენტო სარგებელს.

(d) პუნქტი 3.06 ამოღებულია და ჩანაცვლებულია შემდეგით:

შეღავათები. (a) ADB-ს მიერ ახალ სესხებზე საპროცენტო განაკვეთების ფიქსირებული სპრედის შემცირების გამოცხადების შემთხვევაში, ADB-მ უნდა უზრუნველყოს შეღავათებით ყველა ის მსესხებელი, რომელთაც ჯერ არ აქვთ დაფარული სესხი და სესხზე ვრცელდება უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთები. შეღავათის ოდენობა გამოითვლება შემდეგნაირად: (i) სხვაობა დაუბრუნებელი სესხის მარჯასა და ახალი სესხებისა შესაბამის ფიქსირებულ მარჯას შორის (გამოსახული, როგორც წლიური პროცენტი) გამრავლდება (ii) დაუბრუნებელი სესხის ძირითად თანხაზე, რომელზეც მსესხებელმა უნდა გადაიხადოს პროცენტიყველა საპროცენტო ერიოდში დაწყებული ახალ სესხებზე დაბალი ფიქსირებული მარჯის დაწესების თარიღიდან.

(b) ADB-ის ნებისმიერი განცხადების შესახებ, რომ დაფინანსების ღირებულების მარჯის დათვლამ ნებისმიერი სესხის ვალუტაზე (ან დამტკიცებულ ვალუტაზე) ნებისმიერ სემესტრში გამოიწვია ADB-ის მიერ თანხების დაზოგვა, ამ შემთხვევაში გაუკეტებს შეღავათს მსესხებელს. შეღავათის თანხა გამოითვლება შემდეგნაირად: (i) დაფინანსების ღირებულების მარჯა (გამოსახული წლიური პროცენტი) გამრავლდება (ii) სესხის ძირითად თანხაზე, რომელზეც მსესხებელმა საპროცენტო სარგებელი უნდა გადაიხადოს იმ პერიოდისათვის, რომლისთვიაც მოხდა დაფინანსების ღირებულების მარჯის გამოთვლა. ADB-ს შეღავათის თანხა შეეხება მსესხებლის მიერ გადასახდელ როცენტს, რომელიც მსესხებელმა უნდა გადაიხადოს საროცენტო ერიოდში დაწყებული იმ სემესტრის შემდეგ, რომლისთვისაც მოხდება დაფინანსების ღირებულების მარჯის გამოთვლა.

(e) პუნქტი 3.07 ამოღებულია და შეცვლიალია შემდეგით:

დანარიცხი (a) ADB-ის ნებისმიერი განცხადების მერე იმის შესახებ, რომ ფიქსირებული მარჯა (Fixed Spread) ახალი სესხებისათვის უნდა გაიზარდოს, ნებისმიერი მსესხებელი დაუბრუნებელი სესხით, რომელზეც დაწესებულია უფრო დაბალი ფიქსირებული მარჯა გადაუხდის ADB-ს მომსახურების გადასახადს (Surcharge). მომსახურების თანხა გამოითვლება შემდეგნაირად: (i) სხვაობა ახალი სესხების შესაბამის მარჯასა და დაუბრუნებელი სესხის ფიქსირებულ მარჯას შორის (გამოსახული როგორც წლიური პროცენტი) გამრავლდება (ii) დაუბრუნებელი სესხის ძირითად

თანხაზე, რომელზეც მსესხებელმა უნდა გადაიხადოს პროცენტი ყველა საპროცენტო პერიოდში დაწყებული ახალ სესხებზე უფრო დაბალი ფიქსირებული მარჟის დაწესების თარიღიდან.

(b) ADB-ის ნებისმიერი განცხადების შემდეგ იმის შესახებ, რომ დაფინანსების ღირებულების მარჟის (Funding Cost Margin) დათვლამ ნებისმიერი სესხის ვალუტაზე (ან დამტკიცებულ ვალუტაზე) ნებისმიერ სემესტრში გამოიწვია ADB-ის მიერ დამატებითი ხარჯების გაწევა, ამ შემთხვევაში მსესხებელი გადაიხდის გადასახდელს (Surharge). გადასახდელის თანხა გამოითვლება შემდეგნაირად i) დაფინანსების ღირებულების მარჟა (გამოსახული როგორც წლიური პროცენტი) გამრავლდება ii) დაუბრუნებელი სესხის ძირითად თანხაზე, რომელზეც მსესხებელმა უნდა გადაიხადოს პროცენტი ყველა საპროცენტო პერიოდში დაწყებული იმ სემესტრიდან, რომლისთვისაც მოხდა დაფინანსების ღირებულების მარჟის გამოთვლა. ADB-ი დაამატებს მომსახურების გადასახდელ თანხას მსესხებლის მიერ გადასახდელ პროცენტს, რომელიც მსესხებელმა უნდა გადაიხადოს საპროცენტო პერიოდში დაწებული იმ სემესტრის შემდეგ რომლისთვისაც მოხდა დაფინანსების ღირებულების მარჟის გამოთვლა.

პუნქტი 1.02. წინამდებარე სასესხო ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც სასესხო ინსტრუქციებში და განსაკუთრებულ ოპერაციებზე სესხის ხელშეკრულებაში, თუკი წინამდებარე ხელშეკრულებაში არ ითვალისწინებს ცვლილებებს ან თუ კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს.

მუხლი II

სესხი

პუნქტი 2.01 (a) ADB თანახმაა ADB-ის ჩვეულებრივი კაპიტალური ფონდების რესურსებიდან გასცეს სესხი მსესხებელზე სამოცდაოთხი მილიონი დოლარის ($64,000,000) ოდენობით, ამასთან შესაძლებელია განხორციელდეს მოცემული თანხის კონვერტირება, წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების 2.06 პუნქტში განსაზღვრული დებულებების შესაბამისად.

(b) სესხის ძირითადი თანხის გადახდა ხორციელდება 23 წლის განმავლობაში, სესხზე საშეღავათო პერიოდი განსაზღვრულია მოცემული მუხლის (c) ქვეპუნქტში.

(c) ტერმინი "საშეღავათო პერიოდი", (b) ქვეპუნქტში მითითებული ფორმით, ნიშნავს პერიოდს ძირითადი თანხის გადახდის პირველ თარიღამდე, წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების დანართ 1-ში მოცემული სესხის ამორტიზაციის გრაფიკის შესაბამისად.

პუნქტი 2.02. მსესხებელი გადაუხდის ADB-ს პროცენტს ათვისებულ და დაუბრუნებელ სესხის თანხაზე დროდადრო თითოეულ საპროცენტო პერიოდში განაკვეთით, რომელიც განისაზღვრება შემდეგი მაჩვენებლების ჯამით:

(a) LIBOR;

(b) 0.60%-ს, როგორც ეს განსაზღვრულია სასესხო ინსტრუქციების 3.02 პუნქტში, გამოკლებული 0.20% კრედიტი, როგორც ეს განსაზღვრულია სასესხო ინსტრუქციების 3.03 პუნქტში; და

(c) სესხის დაფარვის ვადის საკომისიო 0.20% ოდენობით, სასესხო ინსტრუქციების 3.03 პუნქტის შესაბამისად.

პუნქტი 2.03 მსესხებელი გადაუხდის ADB-ს წლიურ ვალდებულების გადასახდელს 0.15%-ის ოდენობით. ასეთი დარიცხვა ხდება სესხის მთლიან თანხაზე (მინუს გაცემული თანხები), წინამდებარე ხელშეკრულების ამოქმედებიდან 60 დღის ვადაში.

პუნქტი 2.04 როცენტი და სხვა გადასახდების გადაიხდება ნახევარწლიურად, ყოველი წლის 15 იანვარს და 15 ივლისს.

პუნქტი 2.05. მსესხებელი სესხის ანგარიშიდან გამოტანილ ძირითად თანხას იხდის წინამდებარე ხელშეკრულების დანართი 1-ის დებულებების შესაბამისად.

პუნქტი 2.06. (a) მსესხებელს, სესხის გონივრული მართვის მიზნებისათვის, შეუძლია დროის ნებისმიერ მომენტში მოითხოვოს სესხის შემდეგი პირობების შეცვლა:

(i) სესხის ძირითადი თანხის ან ნაწილის, ათვისებული ან აუთვისებელი ნაწილის სესხის ვალუტის დამტკიცებული ვალუტით შეცვლა;

(ii) ათვისებული და დაუბრუნებელი სესხის ძირითადი ოდენობის მთლიანი ან ნაწილობრივი თანხის საბაზისო საპროცენტო ცვალებადი განაკვეთის ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით ან პირიქით, შეცვლა;

(iii) ათვისებული და დაუბრუნებელი სესხის ძირითადი ოდენობის მთლიანი ან ნაწილობრივი თანხის ცვლად განაკვეთზე ლიმიტების დაწესება, ცვლად განაკვეთზე საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვარის ან საპროცენტო განაკვეთის ქვედა ზღვარის დადგენის გზით.

(b) წინამდებარე ნაწილის (ა) მუხლის თანახმად საჭირო ნებისმიერი ცვლილება, რომელიც დადასტურებულია ADB-ის მიერ უნდა განისაზღვროს, როგორც "კონვერსია" როგორც ეს განმარტებულია სასესხო ინსტრუქციების 2.01 (6) პუნქტში და ძალაში შევა სასესხო ინსტრუქციების V მუხლისა და კონვერსიის სახელმძღვანელოს შესაბამისად.

მუხლი III

სესხის გამოყენება

პუნქტი 3.01. მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს MDF-ისათვის სესხის თანხების მიწოდება ADB-სათვის მისაღებ ვადებში და პირობებით და უნდა უზრუნველყოს ამ თანხების გამოყენება პროექტის ხარჯების მიზნებისათვის, წინამდებარე ხელშეკრულებისა და საპროექტო ხელშეკრულების დებულებების შესაბამისად.

პუნქტი 3.02. სესხის თანხების გამოყოფა და გატანა უნდა განხორციელდეს წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების დანართ 2-ის შესაბამისად. ამასთან, შესაძლებელია დანართში პერიოდულად შევიდეს ცვლილებები მსესხებლისა და ADB-ის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

პუნქტი 3.03. თუ ADB-სთან სხვაგვარად არ იქნება შეთანხმებული, მსესხებელმა უნდა შეისყიდოს ან უზრუნველყოს იმ კატეგორიის საქონლის შესყიდვა, რომლებიც უნდა დაფინანსდეს სესხის თანხებით, სასესხო ხელშეკრულების განსაკუთრებულ ოპერაციები დანართ 4-ის შესაბამისად. ADB-ს შეუძლია უარი განაცხადოს ისეთი კონტრაქტის დაფინანსებაზე, რომლის ფარგლებშიც შესყიდვა არ განხორციელდა მსესხებელსა და ADB-ს შორის შეთანხმებული პროცედურების შესაბამისად ან თუ კონტრაქტის ვადები და პირობები არ არის მისაღები ADB-სათვის.

პუნქტი 3.04. თუ ADB-სთან სხვაგვარად არ იქნება შეთანხმებული, მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს სესხით დაფინანსებული ყველა კატეგორიის გამოყენება მხოლოდ პროექტის განხორციელების მიზნებისათვის.

პუნქტი 3.05. სესხის ინსტრუქციების 9.02 უნქტის შესაბამისად პროექტის დახურვის თარიღია 2018 წლის 31 დეკემბერი ან სხვა თარიღი, რომელზეც პერიოდულად შეთანხმდებიან მსესხებელი და ADB.

მუხლი IV

განსაკუთრებული დებულებები

პუნქტი 4.01. (a) მსესხებელი უზრუნველყოფს პროექტის ეფექტიან და გონიერულ განხორციელებას, შესაბამისი ტექნიკური, ფინანსური, ბიზნეს და განვითარების პრაქტიკის დაცვით.

(b) პროექტის განხორციელებისა და პროექტთან დაკავშირებული საქმიანობის პროცესში მსესხებელი შეასრულებს ან უზრუნველყოფს სასესხო ხელშეკრულების განსაკუთრებული ოპერაციები დანართ 5-ში და საპროექტო ხელშეკრულებაში მოცემული ყველა ვალდებულების შესრულებას

პუნქტი 4.02. მსესხებელმა, სესხის თანხების გარდა, უნდა უზრუნველყოს პროექტის განსახორციელებლად საჭირო დამატებითი თანხები, საშუალებები, მომსახურება, მიწა და სხვა რესურსები.

პუნქტი 4.03 (a) პროექტის განხორცილების პროცესში მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს ADB-სათვის მისაღები კომპეტენტური და კვალიფიცური კონსულტანტებისა და კონტრაქტორების აყვანა, მსესხებლისა და ADB-სათვის მისაღები პირობებით და ვადებით.

(b) მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს პროექტის განხორციელება მსესხებლისა და ADB-სათვის მისაღები გეგმების, დიზაინის სტანდარტების, სპეციფიკაციების, სამუშაო განრიგებისა და მშენებლობლობის მეთოდების შესაბამისად. მსესხებელმა მომზადებისთანავე უნდა მიაწოდოს ADB-ს ასეთი გეგმები, დიზაინის სტანდატები, სპეციფიკაციები და სამუშაო განრიგები, აგრეთვე მათში შემდგომში შეტანილი ნებიმიერი მატერიალური ხასიათის ცვლილებები, ADB-ის მიერ მოთხოვნილი დეტალურობით.

პუნქტი 4.04 მსესხებელი უზრუნველყოფს, რომ მისი დეპარტამენტებისა და სააგენტოების საქმიანობა პროექტის განხორცილებისას ან პროექტის საშუალებების ოპერირების კუთხით, ხორციელდებოდეს სათანადო ადმინიტრაციული პოლიტიკებისა და პროცედურების შესაბამისად.

პუნქტი 4.05. მსესხებელი ხელს შეუწყობს ADB-ს წარმომადგენლებს პროექტისა და სამუშაოების, ასევე ყველა შესაბამისი ჩანაწერისა და დოკუმენტის შემოწმებისას .

პუნქტი 4.06. (a) მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს MDF-ის მიერ (i) პროექტისთვის ცალკე ანგარიშების გახსნა და ცალკე ჩანაწერების წარმოება; (ii) პროექტის წლიური ფინანსური ანგარიშგებების მომზადება ADB-სათვის მისაღები ბუღალტრული პრინციპების შესაბამისად; (iii) ამგვარი ფინანსური ანგარიშგებების დამოუკიდებელი აუდიტორების მიერ შემოწმება. აუდიტორების კვალიფიკაცია, გამოცდილება და პირობები მისაღები უნდა იყოს ADB-სათვის; აუდიტი უნდა განხორციელდეს ADB-სათვის მისაღები აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ან ადგილობრივი პრაქტიკის შესაბამისად; (iv) თითოეული აუდიტის ფარგლებში

აუდიტორების მიერ ანგარიშის (რომელიც მოიცავს აუდიტორების შეხედულებას სესხის თანხების გამოყენებაზე და წინამდებარე სესხის ხელშეკრულების ფინანსურ პირობებთან შესაბამისობაზე, ასევე ანგარიშგებებისა და დანახარჯების ცხრილების მომზადებისას გამოყენებულ პროცედურებზე) და მენეჯმენტის წერილის (რომელიც განიხილავს აუდიტის განხორციელებისას პროექტის შიდა კონტროლის მექანიზმებში აღმოჩენილ ნაკლოვანებებს, ასეთის არსებობის შეთხვევაში) მომზადება; და (v) შესაბამისი ფისკალური წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადაში ADB-სათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშების, აუდიტის ანგარიშისა და მენეჯმენტის წერილის ასლების (ინგლისურ ენაზე) მიწოდება, ამასთან, ADB-ის მოთხოვნის შემთხვევაში, ADB-სათვის სხვა, წარმოდგენილ დოკუმენტებთან და აუდიტთან დაკავშირებული, დამატებითი ინფორმაციის მიწოდება.

(b) ADB უზრუნველყოფს პროექტის აუდიტირებული ფინანსური მონაცემებისა და ფინანსურ მონაცემებზე აუდიტის დასკვნების გავრცელებას ამ ინფორმაციის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში, ADB-ის ვებ-გვერდზე განთავსების გზით.

(c) ADB-ის მოთხოვნის საფუძველზე, მსესხებელი დაეხმარება ADB-ს, დამოუკიდებელ აუდიტორებთან ერთად პროექტის ფინანსური მონაცემებისა და მსესხებლის ფინანსური საქმიანობის განხილვაში, თუ საქმიანობა პროექტთან არის დაკავშირებული, ზემოთ მოყვანილი (a)(iii) ქვეპუნქტის შესაბამისად და უფლებამოსილებას ანიჭებს და იწვევს აუდიტის წარმომადგენელს ADB-ის მიერ მოთხოვნილ განხილვებში მონაწილეობის მისაღებად. ამგავრი განხილვები იმართება მხოლოდ მსესხებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მსესხებელი სხვაგვარ მოთხოვნას წარმოადგენს.

პუნქტი 4.07. მსესხებელი უზრუნველყოფს, რომ პროექტთან დაკავშირებული ყველა აღჭურვილობის ოპერირება, ექსპლუატაცია და შეკეთება ხორციელდებოდეს საყოველთაოდ მისაღები ტექნიკური, ფინანსური, ბიზნეს, განვითარების, საოპერაციო და ექსპლუატაციის პრაქტიკის შესაბამისად.

პუნქტი 4.08. მსესხებელი მიმართავს ყველაზომას, რაც აუცილებელია MDF-ის მიერ პროექტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად; ამასთან, მსესხებელი არ ახორციელებს ან არ უშვებს ისეთი ქმედებების განხორციელებას, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს დასახელებული ვალდებულებების შესრულებას.

მუხლი V

ძალაში შესვლა

პუნქტი 5.01. სასესხო ინსტრუქციების 10.01(f) პუნქტის მიზნებისათვის, სასესხო ხელშეკრულების ძალაში შესვლის დამატებით პირობად განსაზღვრულია შემდეგი: სასესხო ხელშეკრულება განსაკუთრებული ოპერაციები უნდა განხორციელდეს და შესრულდეს მსესხებლის სახელით და უნდა დაკმაყოფილდეს სასესხო ხელშეკრულების ძალაში შესვლის ყველა წინაპირობა (გარდა პირობისა, რომელიც გულისხმობს წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების ძალაში შესვლას).

პუნქტი 5.02. სასესხო ინსტრუქციების 10.02(d) პუნქტის მიზნებისათვის, დამატებით საკითხად, რომელთან დაკავშირებითაც მოსაზრება ან მოსაზრებები წარედგინება ADB-ს განიხილება შემდეგი: მოხდა სასესხო ხელშეკრულების განსაკუთრებული ოპერაციების ავტორიზაცია ან რატიფიკაცია, განხორციელდა და შესრულდა მსესხებლის სახელით და მოცემული მსესხებლისათვის წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე პირობას.

პუნქტი 5.02. სასესხო ინსტრუქციების 10.04 პუნქტის მიზნებისათვის, სასესხო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების ხელმოწერიდან 60 დღე.

მუხლი VI

უფლებამოსილების დელეგირება

პუნქტი 6.01 მსესხებელი MDF-ს განსაზღვრავს თავის აგენტად ნებისმიერი იმ მოქმედების განსახორციელებლად ან ნებისმიერი ისეთი ხელშეკრულების დასადებად, რომლებიც დაშვებული ან საჭიროა წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების 3.02, 3.03 და 3.05 პუნქტებით და სასესხო ინსტრუქციების 6.01, 6.02, 6.03 და 6.04 პუნქტებით.

პუნქტი 6.02. პროექტის აღმასრულებელი აგენტის მიერ წინამდებარე სასესხო ხელშეკრელების 6.01 პუნქტის შესაბამისად გაცემული უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ნებისმიერი ქმედება ან დადებული ხელშეკრულება სრულად მოქმედია მსესხებლისათვის და გააჩნია იგივე ძალა და მოქმედება, რაც განისაზღვრებოდა მსესხებლის მიერ ამ ქმედებების განხორციელების ან ხელშეკრულებების დადების შემთხვევაში.

პუნქტი 6.03. პროექტის აღმასრულებელი აგენტისათვის წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების 6.01 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილება შესაძლოა გამოთხოვილი ან შეცვლილი იყოს მსესხებელისა და ADB-ის ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში.

მუხლი VII

სხვადასხვა

პუნქტი 7.01. მსესხებლის ფინანსთა მინისტრი განსაზღვრულია მსესხებლის წარმომადგენლად სასესხო ინსტრუქციების 12.02 პუნქტის მიზნებისათვის.

პუნქტი 7.02 სასესხო ინსტრუქციების 12.01 პუნქტის მიზნებისათვის გამოყენებულია შემდეგი მისამართები:

<u>მსესხებლისათვის</u>

ფინანსთა სამინისტრო
სახელმწიფო ვალის და საერთაშორისო ფინანსების დეპარტამენტი
გორგასლის ქ. 16, 0114
თბილისი, საქართველო

ფაქსი:
(99532) 2261 461.

<u>ADB-სთვის</u>

აზიის განვითარების ბანკი
6 ADB გამზირი
მანდალუონგი
1550 მეტრო მანილა
ფილიპინები

ფაქსი:
(632) 636-2444
(632) 636-2301.

ზემოაღნიშნულის დასტურად, მხარეები, მათი სათანადო უფლებამისილი წარმომადგენლების მეშვეობით, ხელს აწერენ წინამდებარე სასესხო ხელშეკრულებას და უზრუნველყოფენ მის მიწოდებას ADB-ის სათაო ოფისში მითითებულ წელსა და რიცხვში.

საქართველო

_____

[სახელი, გვარი და თანამდებობა]

აზიის განვითარების ბანკი

_____

[სახელი, გვარი და თანამდებობა]

დანართი 1

ამორტიზაციის გრაფიკი

(მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციის პროგრამი პროექტი 2)

1. ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი განსაზღვრავს სესხის ძირითადი თანხის გადახდის თარიღებს და შესაბამის თარიღებში გადასახდელ თანხის ოდენობას, გამოსახულს, როგორც მთლიანი ძირითადი თანხის პროცენტულ წილს (ძირითადი თანხის გადასახდელი წილი). თუ სესხის თანხა სრულად იქნება ათვისებული ძირითადი თანხის გადახდის პირველი თარიღისათვის, მსესხებლის მიერ ყოველი ძირითადი თანხის დაბრუნების თარიღისათვის ძირითადი თანხის გადასახდელი ნაწილი დგინდება ADB-ის მიერ როგორც ნამრავლი: (a) ძირითადი თანხის გადახდის პირველი თარიღამდე ათვისებული და დაუბრუნებელი სესხის ოდენობის და (b) თითოეული ძირითადი თანხის გადახდის თარიღის შესაბამის ძირითადი თანხის გადასახდელი წილისა და ასეთი გადასახდელი თანხა შეიძლება შეიცვალოს აუცილებლობის შემთხვევაში, აღნიშნულ თანხაზე ამ განრიგის მეოთხე პარაგრაფში მოხსენიებული ნებისმიერი თანხის გამოკლებით, რომელზეც ერცელდება ვალუტის კონვერსია.

გადახდის თარიღი	ძირითადი თანხის გადასახდელი წილი (გამოსახული %-ში)
15 იანვარი, 2020	2.173913
15 ივლისი, 2020	2.173913
15 იანვარი, 2021	2.173913
15 ივლისი, 2021	2.173913
15 იანვარი,2022	2.173913
15 ივლისი, 2022	2.173913
15 იანვარი, 2023	2.173913
15 ივლისი, 2023	2.173913
15 იანვარი, 2024	2.173913
15 ივლისი, 2024	2.173913
15 იანვარი, 2025	2.173913
15 ივლისი, 2025	2.173913
15 იანვარი, 2026	2.173913
15 ივლისი, 2026	2.173913
15 იანვარი, 2027	2.173913
15 ივლისი, 2027	2.173913
15 იანვარი, 2028	2.173913
15 ივლისი, 2028	2.173913
15 იანვარი, 2029	2.173913
15 ივლისი, 2029	2.173913
15 იანვარი, 2030	2.173913

15 ივლისი, 2030	2.173913
15 იანვარი, 2031	2.173913
15 ივლისი, 2031	2.173913
15 იანვარი, 2032	2.173913
15 ივლისი, 2032	2.173913
15 იანვარი, 2033	2.173913
15 ივლისი, 2033	2.173913
15 იანვარი, 2034	2.173913
15 ივლისი, 2034	2.173913
15 იანვარი, 2035	2.173913
15 ივლისი, 2035	2.173913
15 იანვარი, 2036	2.173913
15 ივლისი, 2036	2.173913
15 იანვარი, 2037	2.173913
15 ივლისი, 2037	2.173913
15 იანვარი, 2038	2.173913
15 ივლისი, 2038	2.173913
15 იანვარი, 2039	2.173913
15 ივლისი, 2039	2.173913
15 იანვარი, 2040	2.173913
15 ივლისი, 2040	2.173913
15 იანვარი, 2041	2.173913
15 ივლისი, 2041	2.173913
15 იანვარი,2042	2.173913
15 ივლისი, 2042	2.173915
სულ	100.000000

2. თუ სესხის თანხები სრულად არ იქნება ათვისებული ძირითადი თანხის გადახდის პირველი თარიღისთვის, მსესხებლის მიერ ყოველ ძირითადი თანხის დაბრუნების გადახდის თარიღისათვის ძირითადი თანხის გადასახდელი თანხა დგინდება შემდეგნაირად:

(a) იმ შემთხვევაში, თუ სესხის გარკვეული თანხა არის ათვისებული ძირითადი თანხის გადახდის პირველი თარიღისთვის, მსესხებელმა უნდა გადაიხადოს ათვისებული და შესაბამისი თარიღისთვის გადაუხდელი თანხა ამ გარიგის პირველი პარაგრაფის შესაბამისად.

(b) ნებისმიერი თანხა, რომლის ათვისებაც მოხდა პირველი ძირითადი თანხის გადახდის თარიღის შემდეგ უნდა იქნას გადახდილი ყოველ ძირითადი თანხის გადახდის თარიღში, რომელიც დადგება აღნიშნული ათვისების შემდეგ იმ ოდენობით როგორც განსაზღვრავს ADB ყოველი ასეთი ათვისების თანხის გამრავლებით წილადზე, რომლის მრიცხველიც იქნება თავდაპირველი ძირითადი თანხის გადასახდელი წილი, რომელიც მოცემულია პირველი პარაგრაფში მოცემულ ცხრილში შესაბამისი ძირითადი თანხის გადახდის თარიღისათვის (თავდაპირველი ძირითადი თანხის გადასახდელი წილი) და მნიშვნელი იქნება ამ თარიღში ან ამ თარიღის შემდეგ დარჩენილი ძირითადი თანხის გადახდის თარიღების შესაბამისი თავდაპირველი ძირითადი თანხის გადასახდელი წილის ჯამი, და ასეთი

გაგასახდელი თანხა შეიძლება შეიცვალოს აუცილებლობის შემთხვევაში, აღნიშნულ თანხაზე ამ განრიგის მეოთხე პარაგრაფში მოხსენიებული ნებისმიერი თანხის გამოკლებით, რომელზეც ვრცელდება ვალუტის კონვერტაცია.

3. ათვისება რომელიც განხორციელდა პირველი ძირითადი თანხის გადახდის თარიღამდე ორი თვის განმავლობაში, ნებისმიერი ძირითადი თანხის გადახდის თარიღისათვის ძირითადი გადახდების გამოთვლის მიზნით, იქნება ჩათვლილი როგორც ათვისებული და გადაუხდელი ათვისების თარიღის შემდეგ მეორე ძირითადი თანხის გადახდის თარიღისათვის და იქნება გადასახდელი ყოველ ძირითადი თანხის გადახდის თარიღში დაწყებული ათვისების თარიღის შემდეგ დამდგარი მეორე ძირითადი თანხის გადახდის თარიღიდან.

4. წინამდებარე დანართის პირველი და მეორე პარაგრაფების დებულებების მიუხედავად, ათვისებული სესხის ძირითადი თანხის - მთლიანად ან ნაწილობრივ - დამტკიცებულ ვალუტაში კონვერტირების შემთხვევაში, კონვერტირებული თანხა დამტკიცებულ ვალუტაში, რომელიც უნდა იქნეს გადახდილი რომელიმე ძირითადი თანხის გადახდის თარიღში, რომელიც დადგება პერიოდის განმავლობაში იქნება განსაზღვრული ADB მიერ კონვერტაციამდე თავის ვალუტაში დენომინირებული აღნიშნული თანხის გამრავლებით ერთ-ერთზე მომდევნო ორიდან: (i) გაცვლითი კურსით, რომელიც ასახავს ძირითად თანხას აღნიშნულ დამტკიცებულ ვალუტაში, რომლის გადახდაც ხდება ADB-ის მიერ ვალუტის ჰეჯირების ტრანზაქციის ფარგლებში, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნულ კონვერტაციასთან ან (ii) თუ ADB-ი ასე განსაზღვრავს კონვერტაციის პრინციპების შესაბამისად, გამოცხადებული გაცვლითი კურსით (Screen Rate).

5. თუ სესხის ათვისებული და გადაუხდელი ძირითადი თანხა დროდადრო იქნება დენომინირებულია ერთზე მეტ სესხის ვალუტაში, ამ განრიგის დებულებები ცალ-ცალკე გამოიყენება სესხის ყოველ ვალუტაში განსაზღვრული თანხის მიმართ, ისე რომ მიღებული იქნება ცალკე ამორტიზაციის განრიგი ყოველი ასეთი თანხისათვის.

დანართი 2

სესხის თანხების გამოყოფა და მიღება

<u>ზოგადი ნაწილი</u>

1. წინამდებარე დანართის ცხრილში ("ცხრილი") განსაზღვრულია სესხის თანხებით დასაფინანსებელი ხარჯების კატეგორიები, აგრეთვე თითოეული კატეგორიისათვის გამოყოფილი თანხა. ("კატეგორია" ამ დანართში აღნიშნავს ცხრილში მოცემულ "კატეგორიას" ან "ქვეკატეგორიას").

<u>სესხის ანგარიშიდან თანხის გატანის საფუძველი</u>

2. თუ ADB-სთან სხვაგვარად არ იქნება შეთანხმებული, სესხის თანხები გაიცემა თითოეული ხარჯის კატეგორიისათვის ცხრილში განსაზღვრული პროცენტული ოდენობის საფუძველზე.

<u>საპროცენტო განაკვეთი და სესხის გამოყოფის ვალდებულების საკომისიო</u>

3. კატეგორია 3-ში განსაზღვრული თანხა გამოიყოფა პროექტის განხორციელების პერიოდში სესხზე დარიცხული საპროცენტო სარგებელისა და სესხის გამოყოფის ვალდებულების საკომისიოს დასაფარად. ADB უფლებამოსილია დადგენილ ვადებში საპროცენტო სარგებლისა და სესხის გამოყოფის ვალდებულების საკომისიოს ჩამოაჭრას საჭირო თანხები სესხის ანგარიშიდან და განახორციელოს გადახდა მსესხებლის სახელით, თავის სასარგებლოდ.

<u>რეალოკაცია</u>

4. მიუხედავად ცხრილში მითითებული სესხის თანხისა და გატანის პროცენტული მაჩვენებლისა:

(a) თუ ნებისმიერი კატეგორიისათვის გამოყოფილი სესხის თანხა არასაკმარისი აღმოჩნდება ამ კატეგორიის ყველა შეთანხმებული დანახარჯის დასაფინანსებლად, ADB-ს შეუძლია, მსესხებლისათვის შეტყობინების გაგზავნის შემდეგ, (1) თავიდან გადაანაწილოს სესხის სახსრები და ასეთ კატეგორიაზე გადმოიტანოს გაანგარიშებული დეფიციტის დასაფარად აუცილებელი ის თანხა, რომელიც იმ მომენტისთვის გამოყოფილია სხვა კატეგორიისათვის და, ADB-ს აზრით, ამ ხარჯების დასაფინანსებლად არ არის საჭირო; და (2) თუ ასეთი გადანაწილებით სრულად ვერ ხერხდება გაანგარიშებული დეფიციტის დაფარვა, შეამციროს ამ ხარჯისათვის გამოყენებული პროცენტული მაჩვენებელი, რათა შემდგომში შესაძლებელი იყოს ამ კატეგორიიდან თანხის გატანის მანამდე გაგრძელება, სანამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ხარჯი არ დაფინანსდება; და

(b) თუ რომელიმე კატეგორიისათვის გამოყოფილი სესხის თანხა აღემატება ამ კატეგორიის ყველა შეთანხმებული ხარჯის ოდენობას, ADB-ს შეუძლია, მსესხებლისათვის შეტყობინების გაგზავნის შემდეგ, ასეთი ზედმეტი თანხა სხვა კატეგორიებზე გადაანაწილოს

გაცემის პროცედურები

5. თუ ADB-სთან სხვაგვარად არ იქნება შეთანხმებული, სესხის თანხების გაცემა განხორციელდება სესხის თანხების გაცემის სახელმძღვანელოს შესაბამისად.

რეტროაქტიური დაფინანსება

6. სესხის ანგარიშიდან თანხის გატანა შეიძლება განხორციელდეს ნებადართული ხარჯების ასანაზღაურებლად, მათი შესრულების შემდეგ, თუკი სამუშაოები შესრულდა წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღემდე, მაგრამ ამ სასესხო ხელშეკრულების გაფორმებამდე არა უადრეს 12 თვისა. ამგვარი ხარჯების მაქსიმალური თანხა სესხის თანხის 20%-ის ექვივალენტს შეადგენს.

ცხრილი

სესხის თანხების გამოყოფა და გატანა (მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა – პროექტი 2)			
ნომერი	დასახელება	ADB-ს დაფინანსებისათვის გამოყოფილი ჯამური თანხის ($) კატეგორია	სასესხო ანგარიშიდან თანხის გამოთხოვის პროცენტული წილი
1	სამუშაოები	50,000,000	ჯამური მოთხოვნილი ხარჯის 80% *
2	საკონსულტაციო მომსახურება	4,549,000	ჯამური მოთხოვნილი ხარჯის 80% *
3	პროცენტი, ვალდებულების გადასახადი	1,616,400	დასაფარი თანხის 100%
4	გაუნაწილებელი	7,834,600	
	სულ	64,000,000	

*მსესხებლის ტერიტორიაზე მოქმედი გადასახადებისა და მოსაკრებლების გარეშე.

საქართველოს [illegible]
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა
თარგმანის ბიურო
რეგისტრაციის/REGISTRATION № 23012-01
თარიღი/DATE 24.07.12
დამოწმებულია/CERTIFIED BY
Ministry of Foreign Affairs of Georgia
TRANSLATION BUREAU
of International Agreements of Georgia